**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2022 წლის 10 ნოემბერი**

**დისციპლინური საქმე №126/19**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2019 წლის 17 ივლისის №126 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $75^6$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 სექტემბრის №126/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ნაწილობრივ.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია საპროცესო ვადები, კერძოდ:
- უსაფუძვლოდ გააჭიანურა საქმის განხილვა;
- გონივრულ ვადებში არ განიხილა შუამდგომლობები და რამდენიმე სხდომა უსაფუძვლოდ გადადო;
- განჩინებაში არ მიუთითა მტკიცებულებათა წარდგენის ვადა, რამაც მოპასუხე მხარეს საშუალება მისცა თვენახევრით უსაფუძვლოდ გაეჭიანურებინა ინფორმაციის წარდგენა;
- დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაუგზავნა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

1.2. მოსამართლემ 2018 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე არ მოახდინა რეაგირება პროკურორის მუქარაზე.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2016 წლის 5 აგვისტოს მოსარჩელე -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -- -- პროკურატურის მიმართ და მოითხოვა მოსარჩელე -- -- თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ -- -- პროკურატურის 2016 წლის №-- ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელე -- -- ასევე მოითხოვა ახალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა; თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. -- -- პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის თანხის 0,007 პროცენტის გადახდის დავალება, დაყოვნებული თანხის სრულად გადახდამდე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 აგვისტოს განჩინებით

(მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი.

2016 წლის 6 სექტემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 თებერვლის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე - -- -- შუამდგომლობა, წარდგენილი დოკუმენტაცია და სამი ცალი დისკი მტკიცებულების სახით დაერთო საქმეს; მოსარჩელე - -- -- შუამდგომლობა ნაწილობრივ -- -- პროკურატურიდან ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა; -- -- პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა -- -- დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- სამმართველოდან სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობა ამ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლოს მიერ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარდგენა, შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაცია დიდი ალბათობით თავმოყრილი იქნებოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებში; საქართველოს მთავარ პროკურატურას დაევალა 2015 წლის მაისიდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდის -- -- გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია კომპონენტების მითითებით, მათ შორის ხელფასის, დანამატისა და პრემიის შესახებ, ასევე დოკუმენტალური სახით -- -- მიერ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის №-- ბრძანების გაცნობისა და დადასტურების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ; -- -- შუამდგომლობა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მტკიცებულების სახით გამომძიებელ -- -- 2016 წლის 2 აპრილის მოხსენებითი ბარათის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რადგან აღნიშნული დოკუმენტიც ასევე დიდი ალბათობით წარმოადგენდა წარმოების მასალების შემადგენელ ნაწილს.

2017 წლის 12 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბერს მოწმეთა დაკითხვისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- --. აღნიშნული შუამდგომლობა განხილულ იქნა 2017 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე.

2017 წლის 6 ნოემბერს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია - საქართველოს მთავარი პროკურატურის რომელი თანამდებობის პირის მითითებით და კონკრეტულად რა ფორმით (სიტყვიერად თუ წერილობით) მოხდა 2013 წლიდან რაიონული პროკურორების განთავისუფლება, პროკურატურის შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტისა და მთავარი პროკურატურის 2013 წლის 17 დეკემბრის №-- ბრძანებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან; -- რაიონული პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნას 2017 წლის პერიოდში სამსახურში გამოცხადებისას და შენობიდან გასვლისას სპეციალური ტექნიკური საშუალებებზე პირადობის მოწმობის ფიქსაციისა და შიდა საინფორმაციო ვებგვერდის (ინტრანეტი) მონაცემების ამონაბეჭდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი იქნა 2016 წლის 6 აპრილს, საპატრულო პოლიციის მიერ, -- -- მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას პატრულ-ინსპექტორების სამხრე-კამერების ჩანაწერები.

2018 წლის 9 იანვარს -- -- სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- --. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნა 2016 წლის 11 ივნისს, გენერალური ინსპექციის მიერ, -- რაიონული პროკურატურის მუშაკებისთვის ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებები სრულ მასალებთან ერთად, რომლებიც შეეხებოდა მოსარჩელე - -- -- მიერ შესაძლო დისციპლინური ჩადენის ფაქტებს; -- -- 2016

წელს პროკურატურიდან დათხოვნის ბრძანება; -- -- პროკურორების (--, --) მიერ, 2017 წლის პერიოდში სამსახურში გამოცხადებისას და შენობიდან გასვლისას სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებზე პირადობის მოწმობის ფიქსაციის და შიდა საინფორმაციო ვებგვერდის (ინტრანეტი) მონაცემების ამონაბეჭდი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის -- სამმართველოს უფროსის - -- -- 2016 წლის იანვრის თვის თარიღით გამოცემული თანამდებობიდან დათხოვნის ბრძანება; მტკიცებულებების წარმოსადგენად საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს განესაზღვროს განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადა.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვალს, 12 მარტს, 26 აპრილსა და 9 ივლისს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- --.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 2019 წლის 15 თებერვალს.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2019 წლის 1 მარტს. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 16 მაისს 12:00 საათზე. 2019 წლის 24 ივნისს -- -- წარადგინა განცხადება, 2019 წლის 16 მაისის სხდომის ოქმზე შენიშვნების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომის ოქმი შედგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, კერძოდ საოქმო განჩინებების მოტივაცია მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს სხდომის ოქმში სრულად უნდა ყოფილიყო ასახული, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის მოტივები, რომლის საფუძველზეც სასამართლომ არ დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა. -- -- ასევე მიუთითა, რომ ვინაიდან სხდომის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად აღნიშნული წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) დაკმაყოფილდა -- -- შუამდგომლობები მტკიცებულებათა დართვის თაობაზე; არ დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობები მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის სააპელაციო შესაგებლის შევსების დავალების, საქმის მასალების გერენალურ პროკურატურაში გადაგზავნისა და -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის ინფორმაციის წარმოდგენის დავალების თაობაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტის -- -- შუამდგომლობები მტკიცებულებათა დართვის თაობაზე; არ დაკმაყოფილდა 2019 წლის 14 მარტის, 2019 წლის 11 აპრილის და 2019 წლის 25 აპრილის შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

2.3. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლეს 2017 წელს განსახილველად ჰქონდა ადმინისტრაციული სამართლის 350 საქმე, საიდანაც დაასრულა 152 საქმე (43.4%). 2018 წელს - 457 საქმე, საიდანაც დაასრულა 316 საქმე (69%). ამასთან, წარმოებაში ჰქონდა და განიხილა 60 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 სექტემბრის დასკვნა:**

-- -- 2019 წლის 17 ივლისის №126 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით

განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);

2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Apostol v. Georgia §54).

სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby v. Greece, §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, § 33; Martinie v. France [GC], § 39).

საქმეზე ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლოზე უფლება“ ილუზიური იქნებოდა, თუკი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემა კანონიერ ძალაში შესული, სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას დაუშვებდა რომელიმე მხარის საზიანოდ. ალოგიკური იქნებოდა, მე-6 მუხლს დეტალურად გაეთვალისწინებინა მოდავე მხარეებისათვის მინიჭებული პროცედურული გარანტიები ისე, რომ არ დაეცვა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. მე-6 მუხლის იმდაგვარი განმარტება, რომ იგი მხოლოდ სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და სამართალწარმოების ჩატარებას ეხება, სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელ შემთხვევებამდე მიგვიყვანდა, რომლის პრინციპების პატივისცემის ვალდებულებაც სახელმწიფოებმა კონვენციის რატიფიკაციისას იკისრეს. ამიტომაც ნებისმიერი

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მე-6 მუხლის მიზნებისათვის „სასამართლო განხილვის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.[2]

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[3]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[4]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

ა) საჩივრის ავტორი აღნიშნავს საპროცესო ვადების დარღვევის საკითხს. აღნიშნულზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

დადგენილია, რომ საქმე -- -- სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა 1 წელი, 11 თვე და 7 დღე. მათ შორის მოსამართლე -- -- საქმე წარმოებაში ჰქონდა 25 დღე, მოსამართლე -- -- 9 თვე და 6 დღე, ხოლო მოსამართლე -- -- 1 წელი, 1 თვე და 5 დღე.

დისციპლინურ გადაცდომაზე მსჯელობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად მოსამართლის მიმართ, შესაბამისად, იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, აუცილებელია კონკრეტულ საქმეზე

---

[2] კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბადოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, გვ. 131

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილეა ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

[4] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება. მოცემულ შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმები.

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე -- -- საქმეზე არაერთი საპროცესო მოქმედება განახორციელა. ამასთან, მოსამართლის საქმეთა განხილვის მაჩვენებელი მის დატვირთულობაზე მიუთითებს, რაც გამორიცხავს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტს.

ბ) საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს შუამდგომლობის განხილვის ვადის არაგონივრულობაზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის განხილვის კონკრეტულ ვადას საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნის დარღვევის ფაქტი არ დასტურდება. თუმცა, ნებისმიერი საპროცესო მოქმედება მოსამართლემ გონივრულ ვადაში უნდა განახორციელოს რათა მხარეს არ შეეზღუდოს სამართლიანი სასამართლოს უფლება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ჭრილში.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბერს მოწმეთა დაკითხვისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- --. აღნიშნული შუამდგომლობა განხილულ იქნა 2017 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე.

2017 წლის 6 ნოემბერს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- -- - სასამართლოს. 2017 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

2018 წლის 9 იანვარს -- -- სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- -- აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 თებერვლის განჩინებით, ხოლო მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე 2018 წლის 23 თებერვალს, 21 მარტისა და 26 აპრილის შუამდგომლობებზე მოსამართლემ იმსჯელა 2018 წლის 28 მაისის სხდომაზე და უარი უთხრა მხარეს მათ დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, ორ შემთხვევაში შუამდგომლობა მოსამართლემ განიხილა და დააკმაყოფილა 22 დღეში, დანარჩენ შუამდგომლობებზე იმსჯელა შუამდგომლობების წარდგენიდან პირველივე სხდომაზე.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ განჩინებით არ მიუთითა მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის ვადა, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ 2018 წლის 28 მაისის სხდომაზე განმარტა, რომ დოკუმენტების სასამართლოში წარდგენის ვადა არ მიუთითა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ წინსწრებით არ ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა მოცულობის იყო საქმის მასალები და რა დრო დასჭირდებოდა მოპასუხე მხარეს აღნიშნული დოკუმენტების სასამართლოში წარსადგენად. შესაბამისად, ამ მიმართებით დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

გ) საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების კანონით დადგენილი ვადის დარღვევაზე.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 2019 წლის 15 თებერვალს. ამდენად, მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება გაეგზავნა კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 15 დღის შემდეგ, რაც ვერ შეფასდება მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომის ჩადენად.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის

მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და მისი კომენტარების თანახმად, მოსამართლემ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს ადვოკატების მიერ სასამართლოში ან მოსამართლის თანდასწრებით წარმოთქმულ კომენტარებზე, რომლებიც საქმესთან დაკავშირებული არ არის, რასისტული ხასიათისაა, ქალებისადმი წინასწარ განწყობას გამოხატავს, ან რაიმე სხვა მიზეზით არის შეურაცხმყოფელი და მიუღებელი. სიტყვები, ჟესტები ან უმოქმედობა, რომლებიც გონივრული შეფასებით მსგავსი კომენტარების ფარულ მხარდაჭერად აღიქმება, ასევე დაუშვებელია. ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ უნდა შეაწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა, ან შეაჩეროს დასაშვები მოწმის ჩვენება, როცა სასამართლო განიხილავს საქმეს, რომელშიც დავის საგანი არის რასობრივი კუთვნილების, სქესის ან სხვა მსგავსი ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები. მოსამართლის ვალია, მიუკერძოებლად მოუსმინოს მხარეებს, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მან სიმტკიცე და შეუვალობა უნდა გამოიჩინოს, რათა თანასწორობის ატმოსფერო შექმნას, წესრიგი და შესაბამისი ეტიკეტის დაცვა უზრუნველყოს სასამართლო დარბაზში. სახელდობრ, რას გულისხმობს სათანადო სიმტკიცე, კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში, საკმარისია, თავაზიანად შევუსწოროთ სიტყვა გამომსვლელს. მაგრამ განზრახ შეურაცხმყოფელი საქციელი უფრო ხისტ მოქმედებას მოითხოვს, მაგალითად: მოსამართლის მხრიდან კონკრეტულ მითითებას, პირად გაფრთხილებას, გაფრთხილებას ოქმში შეტანით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი, გაფრთხილების მიუხედავად, განაგრძობს შეუფერებელ ქცევას, – სასამართლოსადმი უპატივცემულობის ფაქტთან დაკავშირებით საქმისწარმოების დაწყებას.

ამასთან, საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

მოცემულ საქმეზე სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად მოპასუხე მხარის მიერ წესრიგის დარღვევისა და მხარისადმი უპატივცემულობის ფაქტები არ დადასტურდა. ამდენად, მოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- მიერ ადგილი ჰქონდა დისციპლინური გადაცდომ(ებ)ის შესაძლო ჩადენის ფაქტს.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ

არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტისა და $75^{13}$ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №126/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**